

ევროპის საბჭო

ადამიანის უფლებათა ევროკულტ სასამართლო

მეორე სესცია

ბურგუნდის სამართველოს წინააღმდეგ

ბანაცხადი №71678/01

ბანჩინება

17 ოქტომბერი 2006

საბოლოო

17/01/2007

წინამდებარე განჩინება საბოლოოა კონვენციის 44-ე მუხლის (§2) შესაბამისად, მაგრამ შეიძლება დაუქვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეზე გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა პალატის სახით
(მეორე სექცია), რომელიც შემდეგი მოსამართლეებისაგან შედგებოდა:

ბ-ნი ქ.-პ. კოსტა, პრეზიდენტი,
ბ-ნი ა.ბ. ბაკა,
ბ-ნი რ. ტიურმენი,
ბ-ნი მ. უგრეხელიძე
ქ-ნები ა. მულარონი
დ. უოსიენე
ბ-ნი დ. პოპოვიჩი, მოსამართლეები,
და ქ-ნი სალი დოლე სექციის მდივანი

იმსჯელა რა განმარტოებით 2006 წლის 5 იანვარსა და 26 სექტემბერს,

სასამართლომ გამოიტანა წინამდებარე განჩინება:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად უდევს საქართველოს მოქალაქის, ბ-ნი დავით გურგენიძის (შემდგომში „განმცხადებელი“), მიერ 2001 წლის 18 მაისს ევროპული სასამართლოსადმი ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი განაცხადი (№71678/01).

2. ევროპულსასამართლოში განმცხადებელს თბილისში მოქმედი ადვოკატი ბ-ნი ვ. კაკაბაძე წარმოადგენდა. ხოლო საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდნენ: ბ-ნი ლ. ჭელიძე, შემდგომში – ქ-ნები თ. ბურჯალიანი და ვ. გურეშიძე საქართველოს გენერალური წარმომადგენლები ადამიანის უფლებეთა ევროპულ სასამართლოში, ხოლო 2005 წლის 1 სექტემბრიდან კი ბ-ნი ს. პაპუაშვილი და ქ-ნი ი. ბართაია – სახელმწიფო წარმომადგენლები.

3. განმცხადებელი მირითადად ჩიოდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, რაც განაპირობა საქართველოში გამომავალი ერთ-ერთი გაზეთის ფურცლებზე მის შესახებ გამოქვეყნებულმა სტატიამ, ისევე, როგორც ამ მხრივ შიდა სასამართლო ორგანოთა მიერ გამოტანილმა გადაწყვეტილებებმა.

4. განაცხადი სასამართლოს მეორე სექციას გადაეცა (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). პალატას, რომელსაც წინამდებარე საქმე უნდა განეხილა (კონვენციის 27-ე მუხლი, §1) რეგლამენტის 26-ე §1 მუხლის შესაბამისად შეიქმნა.

5. 2004 წლის 1 ნოემბერს, სასამართლომ შეცვალა სექციების შემადგენლობა (რეგლამენტის 25-ე მუხლი, §1) და წინამდებარე განაცხადი უკვე განახლებულ მეორე სექციას გადაეცა (52-ე მუხლი §1).

6. 2006 წლის 5 იანვარს, პალატამ განაცხადი ნაწილობრივ დაშვებულად გამოაცხადა და მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა სთხოვა (რეგლამენტის 54-ე მუხლის, §2, a).

7. განმცხადებელმა, დამატებითი წერილობითი კომენტარები წარმოადგინა (რეგლამენტის 59-ე მუხლი, §1), ხოლო მთავრობას ასეთი დამატებითი მასალა არ წარუდგენია.

ვაქტები

I. საქმის ბარემობები

8. განმცხადებელი დავით გურგენიძე საქართველოს მოქალაქეა, დაბადებული 1957 წელს, მცხოვრები ქალაქ თბილისში.

9. განმცხადებელმა, რომელიც წარსულში ლექტორი, ხოლო იმ დროისათვის კი უმუშევარი გახდათ, მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული ზოგიერთი ხელნაწერის გაყიდვა გადაწყვიტა, რათა გაჭირვებაში მყოფ ოჯახს დახმარებოდა. შესაბამისად, 1999 წელს მან რამდენიმე ქართულ გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება მე-20 საუკუნის ერთ-ერთი დიდი ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას, ხელნაწერის გაყიდვის შესახებ. აღნიშნული ხელნაწერი წარმოადგენდა მწერლის 1970 წლით დათარიღებულ სტატიას, რომელიც გამოსაქვეყნებლად გაზეთ „კომუნისტს“ გაეგზავნა.

10. ზემოთაღნიშნული განცხადების საფუძველზე ქნაგ მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ, მწერლის რძალმა და საქართველოს გარდაცვლილი ექსპრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, მეუღლემ შეხვედრა დაუნიშნა გამყიდველ განმცხადებელს. შეხვედრის დროს მას თან ახლდნენ ახლობელი ქალი და ქურნალისტი გულიკო ბალაძე. მითითებულ საცხოვრებელ ბინაში პირველად სწორედ ეს ორი პირი შევიდა, მწერლის რძალი კი მათ ქვემოთ ელოდებოდა, „საჭირო დროს რომ გამოჩენილიყო“.

ამ შეხვედრას შედეგად მოჰყვა ქურნალისტ გ. ბალაძის ინტერვიუებისა და სტატიების სერია, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ახალი თაობის“ 189–204 ნომრებში.

11. პირველი სტატია სათაურით „კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერებით საჯარო გაჭრობა დაიწყო“ გამოვიდა 1999 წლის 12 ივნისს. საიდანაც ირკვეოდა, რომ შეხვედრისას უურნალისტი განმცხადებელს არა თავისი პროფესიით, არამედ ხელნაწერის პორტფილი მყიდველად გაეცნო. თავის სტატიაში უურნალისტმა მკითხველს მოუთხრო, რომ განმცხადებელმა მათ წარუდგინა ხელნაწერი და მისი ასლი, დამოწმებული სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მიერ, რაც კ. გამსახურდიას ხელწერასა და ხელნაწერის ნამდვილობას ადასტურებდა. შეკითხვაზე, თუ რა საშუალებით მოიპოვა ეს ხელნაწერი, დ. გურგენიძემ უპასუხა: „მოდით, ეს იყოს ჩვენი პატარა საიდუმლო.“ ხოლო შეკითხვაზე: „ამის ცოდნა რაიმე პრობლემას წარმოადგენს თქვენთვის?“ განმცხადებელმა უპასუხა, რომ ეს რომ პრობლემა ყოფილიყო იგი ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს (ქალი) ხელნაწერის ასლის ავთენტურობის დასამოწმებლად არ მიმართავდა და ამ ხელნაწერის საჯარო გაყიდვას არ გადაწყვეტდა. ამ დროს, მეორე თანმხლები პირი ქვემოთ ჩავიდა კითომ მანქანიდან ფულის ამოსატანად და მწერლის რძალი ამოიყვანა.

12. ქნაგ არჩვაძე-გამსახურდიამ განმცხადებლის საცხოვრებელ ბინაში შესვლისთანავე დახედა ხელნაწერს და თქვა: „ეს ხომ ჩემი სახლიდანაა წაღებული?“ და ჰკითხა განმცხადებელს: „საიდან გაქვთ ეს?“ განმცხადებელი

ადშფოთდა და მას შეკითხვითვე მიმართა: „თქვენ ფიქრობთ, რომ ეს კრიმინალური გზით არის მოპოვებული?” მწერლის რძალმა თანხმობით უპასუხა. მან აიღო ხელნაწერი და წასვლა დააპირა, მაგრამ დ. გურგენიძემ გზა გადაუდობა და სთხოვა, დაებრუნებინა ის, რაც მას ეკუთვნოდა, შემდეგ კი გასაღებით ჩაკეტა კარი. მწერლის რძალს პოლიციის გამოძახება უნდოდა. განმცხადებელმა თავად გამოიძახა პოლიცია. „ასე აღმოვჩნდით დატუსაღებულნი ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია და მე,” – ასკვნის უურნალისტი თავის სტატიაში. მას გაუკვირდა, რომ განმცხადებელს არ შეეშინდა პოლიციის, „თორემ პოლიციის რომ შეშინებოდა, იმ ხელნაწერს პატრონს გაატანდა“. იგი კვლავ იმეორებდა, რომ „ხელნაწერი მისი საკუთრება იყო“.

13. ამ დროს პოლიციამ განმცხადებელი თავის სტუმრებთან ერთად ჩვენების მისაცემად პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა. მან იქ დაახლოებით ორი საათი დაჰყო, რის შემდეგაც განმცხადებელი ამ განყოფილებიდან გამოუშვეს. იქ ყოფნის დროს მას უურნალისტ გ. ბალაძესთან ერთად მოსულმა ფოტორეპორტიორმა ფოტო გადაუღო.

14. გაზეთ „ახალი თაობის“ 1999 წლის 14 ივლისის ნომერში მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას, რძალმა, რომელსაც ინტერვიუ ჩამოართვა უურნალისტმა გ. ბალაძემ, განაცხადა: „გუშინ ჩვენ შემთხვევით ხელნაწერებზე მონადირე დავიჭირეთ.“

15. შემდგომ ინტერვიუებში, რომელიც გაზეთ „ახალი თაობის“ 1999 წლის 15 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ქნაგა არჩვაძე-გამსახურდიამ აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილი იყო „თუ ვინ იყვნენ გამსახურდიების ოჯახური რეზიდენციის – კოლხული კოშკის მბარცველები და თუკი პოლიცია, დადგენილებას მაინც გამოიტანდა სისხლის სამართლის საქმის არაღიარის შესახებ, ამით იგი განმცხადებელს ხელნაწერის მფლობელისათვის დაბრუნებას აიძულებდა“. ექს-პრეზიდენტის მეუღლემ ამასთან დასხინა, რომ განმცხადებელი „ამ ხელნაწერების გაყიდვით თავს ირჩენდა“.

16. შემდგომ, უურნალისტი მწერლის რძალს თავად ესტუმრა და მათი დიალოგი იმავეგაზეთში გამოაქვევნა. შესავალ ნაწილში უურნალისტმა საზოგადოებას ამცნო, რომ მწერლის საკუთრება: ხელნაწერები და სხვა ნივთები, მოიპარეს მაშინ, როდესაც მისი შვილის ოპონენტებმა ცეცხლი წაუკიდეს კოლხურ კოშკს – გამსახურდიათა ოჯახის რეზიდენციას. „(...) აი, ერთ-ერთი ხელნაწერი, რომელიც გატანილია კოლხური კოშკიდან, ვაჭრობის საგანი შეიქმნა,“ – ამტკიცებდა უურნალისტი. „იგი ამჟამად მთაწმინდის რაიონის პოლიციაშია, მომხდარი ფაქტის ირგვლივ კი მოკვლევა მიმდინარეობს (...) ქნაგა არჩვაძე-გამსახურდიამ მე მაჩვენა თარო, სადაც ეწყო ერთი იმ ხელნაწერთაგანი, რომელიც ამ ორიოდე დღის წინ 300 დოლარად უნდა გაყიდულიყო...“ – აღნიშნა უურნალისტმა.

17. ამგვარი შესავლის შემდეგ უურნალისტმა შეკითხვით მიმართა მწერლის რძალს:

„ქალბატონო მანანა, ჩვენ მოწმე გავხდით კოლხური კოშკიდან მოპარული კ-გამსახურდიას ხელნაწერებით ვაჭრობის, რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?“

პასუხად ქნაგა არჩვაძე-გამსახურდიამ დაადასტურა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების საფუძველზე იგი კონსტანტინე გამსახურდიას იმ ხელნაწერების გაყიდვის უეცარი მოწმე გახდა, რომლებიც ადრე კოლხურ კოშკში ინახებოდა. მწერლის რძალმა თავად მიუჩინა ამ ხელნაწერებს ადგილი და კარგად იცოდა, სად, რომელ ყუთში და რომელ საქაღალდეში ჰქონდა შენახული.

შემდეგ უურნალისტმა კვლავ პეტარა:

„გუშინ ის პიროვნება – დავით გურგენიძე, რომელმაც კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერი მოიტანა გასაყიდად, აცხადებდა, რომ ის მისი საქუთრებაა (...)“

მწერლის რძალმა უპასუხა, რომ სადავო ხელნაწერი, ჩვენს ოჯახში ინახებოდა იმიტომ, რომ ეს იყო შავი პირი, რომ ხელნაწერებს მწერალი (პ. გამსახურდია) ძალიან იშვიათად თუ უგზავნიდა ვინმეს და რომ აღნიშნულ ხელნაწერზე არქივის ბეჭდის, ლუქისა და ხომრის არარსებობა ამტკიცებდა, იმას რომ ის კოლხური კოშკიდან იყო მოპარული. ბოლოს, ქნაგა მანანამ თავად ჰქითხა უურნალისტები: „მე რომ თქვენ რაღაც მოგპაროთდა ვთქვა, ეს ჩემი საკუთრებაა-მეთქი, შეიძლება ჩემი საკუთრება იყოს? ეს ხომ ყოველგვარ ზნეობრივ ნორმებს სცილდება! (...)“ მან განაგრძო:

„როდესაც მასთან (განმცხადებელთან) მივდიოდი, მეგონა, როცა დამინახავდნენ მათ ოჯახში შესულს, ისინი მაშინვე დიდი სიამოვნებით გადმომცემდნენ იმ ხელმაწერს, რომელიც ჩვენი ოჯახის საქუთრება იყო. (...) მაგრამ ბ-ნი გურგენიძე გახლავთ საშინელი ათვისტი, (...) მისთვის ამის გაგება ძნელია. ქურდობა, დატაცება მისთვის არაფერია. აღმაშვილები ის იყო, რომ მან დასძინა, რომ მამახემი არქივში მუშაობდათ. ე.ი. მამასაც ჩირქი მოსცხო. ჩვენ ყველამ კარგად ვიციოთ, რომ მამამისი არქივში მუშაობდა, მაგრამ თუ მამამისი იქ შესულ ხელნაწერს, წერილსა თუ რაიმე დოკუმენტს, რომელიც საქართველოს მომავალს სტირდება, ყველაფერს სახლში ეზიდებოდა, ეს ყველაზე საშინელებაა. ასეთი პიროვნება ანათემას უნდა გადაეცეს. რატომ ახასიათებს მამამისს ასე? (...) ვახტანგ გურგენიძე ჩვენს ოჯახში ხშირად მოდიოდა, (...) თუმცა, თავიდანვე ვიცოდით, ეს პიროვნება ვინც იყო, რომელი ორგანიზაციის წევრიც იყო. მაგრამ ყველას ხომ არ გაყრი სახლიდან. (...) ისე, ბოლო პერიოდში ჩვენთან ადარ მოდიოდა, იმიტომ, რომ მან იცოდა პირადად ჩემი განწყობა მისადმი, რადგან ვიცოდი... მისი განწყობა, ჩვენს ოჯახში რა მიზნით დადიოდა. რაც შეეხება მისი შვილის გუშინდელ ქმედებას, როგორც გავარევიეთ, იგი საერთოდ ამ საქმით ყოფილა დაკავებული... ეს იყო მისი დანაშაული ერის წინაშე. იგი იტაცებს იმ ოჯახების არქივს, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს ან ოჯახს, ან სახელმწიფოს.“

18. ინტერვიუს ამ ნაწილს თან ახლდა განმცხადებლის ფოტოსურათი.

19. განმცხადებელმა მიმართა გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქტორს და ცილისმწამებლური ინფორმაციების საჯარო უარყოფა მოსთხოვა იმავე გაზეთის საშუალებით. ამასთანავე, მოითხოვა თავისი სტატიის გამოქვეყნება, რითაც დაუპირისპირდებოდა მის წინააღმდეგ გავრცელებულ ინფორმაციას.

20. 1999 წლის 15 ივლისს დაიბეჭდა საპასუხო სტატია, მაგრამ, როგორც თავად განმცხადებელი აღნიშნავს, იმდენად გადაკეთებული და სახეშეცვლილი იყო, რომ შინაარსი დაკარგული ჰქონდა. განმცხადებლის პასუხში, როგორი სახითაც დაიბეჭდა გაზეთ „ახალი თაობაში“, იკითხება:

„ხელნაწერი წარმოადგენს 1970 წელს გაზეთ „პომუნისტში“ გაგზავნილ წერილს. (...) ვერავინ აიღებდა (მოიპარავდა, გაიტაცებდა და ა.შ.) „კოლხური კოშკიდან“ იმას, რაც იქიდან ოც წელზე მეტი ხნის წინ გაიგზავნა!!! მე თავს ვიკავებ კომენტარისაგან, თუ რატომ არ დაბეჭდა მაშინ, 1970 წელს ეს წერილი ამ გაზეთის რედაქტორმა... ამ ეტაპზე მე გულიკო ბალაძეს (უურნალისტები) ერთადერთს ვთხოვ: გულიკო, საჯაროდ მომისხენი 1992 წელს „კოლხური კოშკის“ მარცველის კვალიფიკაცია! (...)“

და ბოლოს განმცხადებელმა აღნიშნა:

„ნუ იფიქრებთ, პატივცემულო მკითხველო, რომ სრულ რეაბილიტაციას ვითხოვ! დავ, დამრჩეს 1970 წელს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის დამყაჩადებლის იარღიყით დღეს კაცმა შეიძლება იამაყოს კიდევ!“

21. ამის პასუხად უურნალისტმა საჯაროდ მიმართა განმცხადებელს შემდეგ ნომერში:

„(...) როცა აღშფოთებული მობრძანდით რედაქციაში, გთხოვეთ, რომ თქვენგან ინტერვიუს ავიდებდი, მაგრამ არ ისურვეთ. (...) თქვენ ამტკიცებთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერი გაზეთ „კომუნისტში“ გაგზავნილ წერილს წარმოადგენს. ფაქტია და ამას თქვენც ამტკიცებთ, რომ ეს წერილი გაზეთში არ დაბეჭდილა. ხელნაწერს არ გააჩნია რედაქციაში ან მის არქივში რეგისტრაციის ნიშანი (რაც კომუნისტურ წყობაში გამომავალი გაზეთისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა). ამ შემთვევაში ხომ შეიძლება კითხვა გაჩნდეს, იყო კი საერთოდ ხელნაწერი რედაქციაში გაგზავნილი? ვთქვათ, რატომდაც ხელნაწერმა რეგისტრაცია არ გაიარა, მაგრამ როცა მწერალი წერილს რედაქციაში (...) აგზავნის, ხომ შეიძლება წერილის „შავი“ პირი შინ დაიტოვოს. (...) თქვენ მთხოვთ მოგიხსნათ კოლხეური კოშეის მძარცველის კვალიფიკაცია. ინტერვიუში ჩემგან მხოლოდ იმაზეა კითხვა დასმული, რაც საყოველთაოდ ცნობილია. ეს ეხება კოლხეური კოშეის გადაწვას და იქიდან სხვა ნივთებთან ერთად ხელნაწერების გატაცებას. თქვენ კი წერილში ისეთ საკითხებზე საუბრობთ, რომელიც დამტკიცებას მოითხოვს. ფაქტი კი ისაა, რომ ხელნაწერი თქვენს ხელში აღმოჩნდა. ამიტომ, თუ რა და როგორ ვითარებაში მოხდა, ამისათვის მხოლოდ ჩემი ალდო საკმარისი აღარაა. ეს ვისაც უვალება, მათ გააკეთონ. ამიტომ, თქვენი რეპუტაციის საკითხი ჩემზე არაა დამოკიდებული. მე რაც ვნახე, ის დავაფიქსირე და თქვენც გაძლევდით თქვენი აზრის გამოთქმის საშუალებას...“

22. 1999 წლის 20 ივლისს მთაწმინდის რაიონული პოლიციის განყოფილების უფროსმა განმცხადებელს შეატყობინა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერის გაყიდვის შესახებ ქნი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მიერ განმცხადებლის მიმართ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ქმედებაში „დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის“ გამო.

23. 1999 წლის დეკემბერში განმცადებელმა სარჩელი შეიტანა დიდუბე-ჩულურეთის რაიონულ სასამართლოში გაზეთ „ახალი თაობისა“ და ზემოხსენებული უურნალისტის წინააღმდეგ. იგი ირწმუნებოდა, რომ უურნალისტმა შელახა მისი პატივი, ლირსება და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. განმცხადებელმა დიდუბე-ჩულურეთის რაიონულ სასამართლოს ასევე წარუდგინა სარჩელი უურნალისტის მიერ საკუთარი ფოტოსურათის უკანონო მოპოვებისა და ცილისმწამებლური ინფორმაციის საჯარო უარყოფასთან დაკავშირებით გაზეთის რედაქციის მიერ მიღებული უარის თაობაზე. დავით გურგენიძე ამტკიცებდა, რომ 1999 წლის 12 ივლისიდან მოყოლებული მისი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა. იგი ვერ ბედავდა სახლიდან გამოსვლას, მეგობრების ნახვას იმის შიშით, რომ მათ აღნიშვნული პუბლიკაცია წაკითხული ექნებოდათ. იგი ვალდებული იყო მუდმივად მიეცა ახსნა-განმარტება ოჯახის წევრებისათვის, ყოფილი სტუდენტებისათვის და რომ იგი პოლიციის განყოფილებაში დასაკითხად მიიყვანეს სწორედ უურნალისტ გბალაძის მიერ განზრახ პროცერებულ სკანდალთან დაკავშირებით. განმცხადებელი მოითხოვდა, რომ გაზეთით გავრცელებული ცილისმწამებლური ინფორმაცია მის წინააღმდეგ სრულად ყოფილიყო უარყოფილი იმავე ბეჭვდითი სიტყვის საშუალებით და რედაქტორსა და უურნალისტს დაკისრებოდათ მისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება.

24. 2000 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონულმა სასამართლომ განიხილა ის ინტერვიუ, სადაც ქნი მანანა არჩვაძე-გამსახურდია ირწმუნებოდა, რომ ქურდობა და ძარცვა განმცადებლისათვის არაფერს ნიშნავდა. სასამართლომ განმცხადებლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის არაღიარის შესახებ დადგენილებაზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ხსენებული სიტყვები არ შეესაბამებოდა რეალობას და ლახავდა განმცხადებლის პატივსა და ლირსებას. დიდუბე-ჩულურეთის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა განმცხადებლის სასარჩელო

მოთხოვნა. სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, ადგილი ჰქონდა განმცხადებლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებას, მაგრამ გაზეთმა გაავრცელა მხოლოდ ქნ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გამოთქმული სიტყვები. შედეგად დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ უარყო მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაუსაბუთებლობის გამო, მიიჩნია რა, რომ „პირადი, არაქონებრივი უფლებების“ შელახვა მოსარჩევეს „მატერიალურ ზიანს“ ვერ მიაყენებდა. სამაგიეროდ, სასამართლომ უურნალისტსა და გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციას დაკისრა მწერლის რძალთან ინტერვიუს დროს გავრცელებული ცნობების უარყოფა იმავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით. განმცხადებელს ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 73 ევროს (EUR) გადახდა.

25. განმცხადებელმა სააპელაციო სასამართლოს მიმართა, გაასაჩივრა რა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებამორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მისი მოთხოვნის უარყოფასთან დაკავშირებით. აპელანტი აცხადებდა, რომ უურნალისტმა ინფორმაცია გამოაქვეყნა ყოველგვარი გადამოწმების გარეშე, რომ იგი არ დაელოდა გამოძიების შედეგებს, რომელიც ცნობილი გახდა 1999 წლის 20 ივნისს – გაზეთში პირველი პუბლიკაციის გამოჩენის თარიღიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

26. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ 2000 წლის 13 ივნისის განჩინებით არ დააკმაყოფილა ბ-ნი გურგენიძის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა რაიონული სასამართლოს 2000 წლის 21 ოქტემბრის გადაწყვეტილება. კერძოდ, თბილისის საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია წარმოდგენილი იყო ინტერვიუს სახით, აღნიშნულ პუბლიკაციას – მწერლის რძლის მიერ გამოთქმულ აზრს არ შეეძლო წარმოეშვა არც ამ გაზეთისა და არც მისი უურნალისტის, ხსენებული ინტერვიუს ავტორის, პასუხისმგებლობის საკითხი. შესაბამისად, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ ჩათვალი, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო და რომ, თუ განმცხადებლის მსგავსი მოთხოვნა დაუსაბუთებლად დაკმაყოფილდებოდა, ამით შეიზღუდებოდა პრესის თავისუფლება. ამ მხრივ, ბ-ნი გურგენიძის საწინააღმდეგო მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ამ უკანასკნელმა ვერ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ინტერვიუების გამოქვეყნებამ გაზარდა ტირაჟი ან გარკვეული მოგება მოუტანა გაზეთს.

27. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებას თანდართული ჰქონდა სასამართლოს ამავე შემადგენლობის თავმჯდომარის „განსხვავებული აზრი“, რომლის მიხედვითაც გაზეთმა „ახალი თაობა“ ზიანი მიაყენა განმცხადებლის პატივისა და ღირსების ორ ასპექტს.

„განსხვავებულ აზრში“ აღნიშნულია, რომ ფოტოსურათთან ერთად პრესაში გავრცელებული არასწორი ცნობების გამოქვეყნებამ, ერთი მხრივ, გამოიწვია ის, რომ საზოგადოებამ განმცხადებლის პიროვნების მიმართ აზრი შეიცვალა და რომ დ. გურგენიძეს მის ირგვლივ მყოფ პირებთან შეხვედრის შიში გაუჩნდა, რომლებიც ამ პუბლიკაციის გამოჩენამდე მას კეთილსინდისიერ ადამიანად თვლიდნენ. ამასთან, განმცხადებელი თვალი განიცდიდა საკუთარი თვისებების შეფასების შეცვლას. მეორე მხრივ, საქვეყნოდ გავრცელებული ინფორმაცია ამ პიროვნებაში იწვევდა სირცხვილის გრძნობას, რაც მას ხელს უშლიდა ეფიქრა, რომ ერთ დღეს იგი შეძლებდა ლექტორის ამპლუაში წარმდგარიყო სტუდენტებით სავსე აუდიტორიის წინაშე. ასევე ეწინააღმდეგება

რა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებას, შემადგენლობის თავმჯდომარე ასკვნის, რომ უურნალისტის მიერ, რომელმაც არ შეამოწმა მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა, ადგილი პქონდა ბრალეულ ხელყოფას, გამოხატულს უხეში გაუფრთხილებლობით, რაც მას სრულად ერაცხება. მოსამართლის აზრით, განმცხადებლის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, დასაბუთებული იყო. ამას გარდა, მოსამართლის განსხვავებული შეხედულების შესაბამისად, ამ მხრივ, მორალური ზიანის ანაზღაურება შეასრულებდა პრევენციულ ფუნქციას – თავიდან იქნებოდა აცილებული პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ.

28. განმცხადებელმა საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს. იგი ამჟიცებდა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ არ მიიღო გადაწყვეტილება იმ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა გაზეთის მიერ განმცხადებლის ფოტოსურათის უკანონო მოპოვებასა და გამოქვეყნებას მის მიმართ ფორმულირებულ შეურაცხმყოფელი და ბრალდების შემცველი ფრაზების ფონზე. განმცხადებელი ირწმუნებოდა, რომ აღნიშნულ გაზეთში მისი საპასუხო სტატია შეცვლილი სახით იყო გამოქვეყნებული, რაც არ წარმოადგენდა ამავეგაზეთში დაბეჭდილი პუბლიკაციის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაციას.

29. 2000 წლის 1 დეკემბერს. განმცადებლის საკასაციო საჩივარი უარყოფილ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, რომელმაც მიიჩნია, რომ გაზეთის რედაქციისა და ურნალისტის მხრიდან მართსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის გამო არ უნდა დაეკმაყოფილებინათ განმცხადებლის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლომ არ განიხილა გადმცხადებლის მოთხოვნა, რომელიც ფორმისურათის გამოქვეყნებას ეხებოდა.

30. საკასაციო სასამართლოს მიერ განმცხადებლის სარჩევის დაუყმაყოფილებლობის დღიდან ძალაში დიდუბეზედურეთის რაონცული სასამართლოს 2000 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომელიც დღემდე არ აღსრულებულა.

31. განმცხადებელმა სხვა ზემოსხენებულ დოკუმენტებთან ერთად ევროპის სასამართლოს წარუდგინა ხელწერილი, რომელიც ადასტურებდა სახელმწიფო ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ ვახტანგ გურგენიძისაგან (დავით გურგენიძის მამა) მე-18-20 საუკუნეების სხვადასხვა ქართული ისტორიული ხელნაწერების შეძენის ჯაჭრს.

II အိမ်ပါနာရီ၏ ဆုံးဖို့ ဒုက္ခလာမြန်မာစွဲ

32. იმ დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლოს კოდექსი

გვ-18 გუბლის გვ-2, გვ-3, გვ-4, გვ-5 და გვ-6 პუნქტები:

3. ÈÖ ÐÈÓÉÓ ÐÀÔÉÄÉÓ, ÚÉÓÓÄÄÉÓ, ÓÄÙÉÄÍÉ ÒÄÐÓÖÄÝÉÉÓ ÁÍ ÐÈÒÄÄÉ ÝÁÍ ÅÖÄÄÉÓ ÓÄÉÄÓÍÉ ËÍ ÄÄÉ
ÙÄÍ ÈÄÅÄÄÉÉ ÝÍÍ ÁÄÄÉ ÁÄÄÖÝÄÉ ÄÄÖÉÉ ÄÁ ÌÄÓÍ ÄÖÉÄÉ ËÍ×Í ÒÍÄYÉÉÓ ÓÄÙÖÄÉ ÄÄÄÄÉÈ, ÌÄÜÉÍ ÌÄÉÉ ÓÄÖÜÍ ×ÄY
ÖÍÄÄ ÍÍ ÁÄÄÓ ÄÌÄÄ ÓÄÙÖÄÉ ÄÄÄÄÉÈ. ÈÖ ÄÌÄÄÄÓ ÍÍ ÌÄYÄÌÄÄ ÚÄÉYÄÄÓ ÍÓÄÄÉÄÄYÉÉÓ ÌÉÄÓ ÁÄYÄÌÖÉÉ ÓÄÄÖÉÈ,
ÌÄÜÉÍ ÄÖ ÓÄÄÖÉÈ ÖÍÄÄ ÓÄÉYÄÄÉÍ Ó ÁÄ ÄÌÉÓ ÓÄÄÄÄÄ ÄYÍÍ ÁÍ Õ ÄÄÉÍ ÓÄÄÄÄÄÖÉ ÈÖÄÄÓ.

4. ӨДӨӨ, ОҮ ҮЕЭО ӨДӨӨАӘӨ ӘА ҮӨДӨАӘӨ ӨАЛ ЕАААЕ Э ҮТІ АААЕЙ ӘАТІ ӨДАУГАА 1АОИ АОЕАЕ
ЕІХІ ӨЛЯYЕО ӨАУОАЕ ААААУЕ, ӨХЕАА АӘАО ӘАТІ АОДАУТІ О ӨДАДОАТ ҮТІ АААЕ ЭІХІ ӨЛЯYЕО 1ЕАА
ӨАУОАЕ ААААУЕ.

5. Aİ İÖAEEÖ DÉOAAE ÄÄ İÄ-2 İABEËÄÄÜE ÄÄEÄÄE EÖBEÍÄÄOEE Tİ EÄİ ÁFE ÖX EÄAA AØÄO DÉO
IÄUETÄY, ÖT YÄ TEÖE AÄTÖ OÄÄÖEÄÄ (XÖT ÖT ÖÖDÄEÄE, EÉTÖ XÉEËTÉ, ÄEÄÄT XÉEËTÉ AA A.Ü.) AÄTÖ ØÄÄÜÍÄÄAA İEÖE
EÄTÄLÄ ÄEÖ AÄÖÄÜÄ. DÉOEO EÄTÄLÄ AA AÖ ÄOEÖ OÄÄEÖT, ÖT YÄ XÖT ÖT AAÄÄÜÄÄÄ (ÄEÄÄT AAÄÄÜÄÄ AA A.Ü.)
ÄÄEÄÄÜEÖÄÄOEE EA İEÖ OÄEÖT AÄÄT AÄÖEÄ AÜEÄÖÄÄÄÖEÄT, ÄÄEÄÄÄÄÖE EÄTÄLÄÄÄT AÄÖEÄT, İAOEËT İOAÄÖEÄÄEÖ AÍ
DÍ EÉYEEÖ Tİ EÄİ ÁGÄÄEÄT, OÄTÄYÍEÄÖT, OÄÖBÄÄEÖT AÍ EÖEÖÖÖÖE İEÄTÄÄEÄT, AÄÄÄ xÖT ÖT AAÄÄÜÄÄÄ
(ÄEÄÄT AAÄÄÜÄÄ AA A.Ü.) Tİ AÄÄ OÄEÖT AÄÄT ÄEÄÖÄÄÄÜE, AÄÄÄ DÉOÖT DÍ AÄEÖÄÄEÖÄÄEÖ İEËÜT OÄEÜÄÖÖE.

6. ΑΙ ΤΟΑΞΕΕ ΑΑΕΑΔΑΕΟΒΕΤΑΑΟΞΕ ΟΕΕΑΕΕΟ ΑΑΥΑΑ άΙ ΟΥΕΑΞΑΑΑ, ΤΕΩΑΑΛΑΑΑ ΑΑΕΤΟΙ ×Ο ΑΟΑΞΕΟΑ. άΙ ΕΤ, ΕΟ ΑΑΟΥΑΑΑ ΑΑΤ ΒΑΟΞΕΑ ΑΟΑΞΑΟΞΕ ΤΙ ΘΙΑΑΑΕΕ, ΔΕΟ ΟΑΟΡΞΕΑ ΤΙ ΕΕΑΙ ΆΙ Ο ΑΞΑΙΞΟ (ΑΞΑΞΕΟ) ΑΓΑΞΞΑΟΞΑΑΥ. ΑΞΑΙΞΟ ΑΓΑΞΞΑΟΞΑΑ ΟΑΕΡΞΑΑ ΤΙ ΕΑΙ ΑΞΕ ΕΟΞΑΟ ΕΙ ΤΙ ΑΑΑΞΟ ΟΑαΞΕ, ΟΙ ΙΑΞΕΥ ΒΑΟΤ ΑΟΙ ΓΑ ΑΑΞΤΟΙ ×Ο. ΑΟΑΞΑΟΞΕ ΑΑΞΤΟΙ ×Ο ΟΑΙ ΕαΑΑΑΑΟΕ Ο×ΞΑΑΙ ΟΕΞ ΝΕΟ Ο×ΞΑΑ ΑθΑΟ ΤΙ ΕΕΑΙ ΆΙ Ο ΑΟΑΟΙ ΓΑΑΟΞΑΕ (ΤΙ ΟΑΞΟΞΕ) ΑΞΑΙΞΟ ΑΓΑΞΞΑΟΞΑΑΥ. ΤΙ ΟΑΞΟΞ ΑΞΑΙΞΟ ΑΓΑΞΞΑΟΞΑΑ ΟΑΕΡΞΑΑ ΟΙ ΓΑΑΟΞΑ ΑΞΑΙΞΟ ΑΓΑΞΞΑΟΞΑΑΞΑΑΤ ΑΑΤ ΟΞΕΑΑΑΞΑΑ.“

33. 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ, რომელიც ძალაში იყო 2004 წლის 24 ივნისამდე

მე-4 მუხლის (1997 წლის 25 ნოემბერს შეტანინი ცვლილების მიხედვით)

„ΙΑΟΤ ΙΑΟΕΑΕ ΕΙ×Τ ΟΙΑΥΕΕΟ ΟΑΟΩΟΑΞΑΑΑΕΟ ΕΑΑΕΕΟ×ΕΑΑΑ ΟΑΕΡΞΑΑ ΟΑΕΑΕΟΑΤ Ο ΕΑΓΤ ΤΕΕ
ΑΑΞΑΑΞΕ ΕΟΒΕΓΑΑΟΞ ΟΑΙ ΕαΑΑΑΑΑΑΞ ΑΑ ΒΑΟΞΕ.“

අං-20 අංශලෝ:

„Í ÓAÉ ÁOÁO ÁÍ TÓÓAÉÆAYÉAO Ö×EÁÁ ÁOÁO TAOÍ ÁOÉAÉ EÍ×TÓÍAYÉEO ÓAÚOAÉÁAÉÈ OÁAAØYÉAO
ÍÍ OÉAÍ ÁÍ Ó ÐÉOTÍ ÁÍÁAEÓ ÚAÖÖAÝaÍÚÍ ×AÆÉ TAOÁEÉO ÓAÖOUTÍ xA. ÖAÖOUTÍ xA ÁÍ ÐAOÓAÉ ØAÄUÍÁAAÁ ÁAÆAEÚÉ ÁÍ
NÖOÍAÉÜÉ ÓBAYÉAÉÖOE ÓOAOEEÉE EÍAÁÁ ÁAÄOÄÄ ÁÍ OÁEÀ-ÖAÄEÍ ÐOTÍ ÁOÄIÁAEÓ ÍÍ OÉA ÁAÍÍ ÚAÄAAÜÉ
ÍÍ EÁI ÁFÉO ÚAÍÍ OÁEÉO ÁUÉAAÍ ÁOA OAAEÁTÁO ÁOÉE EAEÓEÓA. ÖAÖOUTÍ xA ÚAEPÉÅAA ÁAÍÍ ØAÄUÍÁAO OÁÄA
ÁAÆAEÚÉ ÁÍ NÖOÍAÉÜÉ, EÖ ÐÉOTÍ ÁÍÁAEÓ ÚAÖÖAÝaÍÚÍ ×AÆÉ TAOÁEÀ ÁAÆAAÄÁÁ ÓTÍ TAEÉIA ÁOÉÄAOÁA
ÁAÍÍ YÄTAÜÉ.“

24-ဂ ပုဂ္ဂိုလ်မူပိုင် ၂

„NÖÖÍÄËÉÓÔÉ ÍÍ ÅÄËÄÄ:

„NUOTRILCE MAREV.
Á) ÜÄÄTÍ BÍÍ Ó ÍÉO ÍÉÄÖ ÍÍ DÍ ÅÄÄÖËÉ ÉÍ×Í ÓÌÄÝÉÉÓ ÖÖÜÖÄÖÍ ÁÁ.“

25-ဂ ပုဂ္ဂိုလ်

„UAĒ AE YÍTÍ AĀAÉO AĀAOYAE AĀEÓAĒAE, TI OAĒ AOAĒ AĀ I OAAĒAE YEAĒA AĀI AEÓA ÚAOÓAÝAU × EOÁ AĀ YEE EÓBÁI AAEÓAĒAE, ĐAOÓAÉTI AAAETI AĀ AEEÓOAAE OAáAEI BE×I, EAOPI AĀ OAETI AAAI AAOEAE I OAAĒAE YEAĒAE IAOI AOEAE EÍ ×I OIAÝEO OAQOAEEAÁO, IAÉ AAEI PUAATI EAÁO, OAAÁAOI OÓ (IEAÁO OAAÁAOI OÓ) AĀ IAOAE AEAE AAOI OAÁO, OÍ I EAAÍAY AAQOUAEAO AO ÉATI IE.“

სამართალი

I. პონვენციის მე-8 მუხლის საგარაუდო დარღვევა

34. განმცხადებელი ჩივის, რომ გაზეთ „ახალი თაობაში“ განმცხადებლის შესახებ გარკვეული ინფორმაციისა და მისი ფოტოსურათის გამოქვეყნებამ, ასევე, ფაქტთან დაკავშირებით მიღებულმა შიდა სასამართლო გადაწყვეტილებებმა დაარღვიეს განმცხადებლის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. ამ მუხლის მიხედვით:

1. „უველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად ... ცხოვრებას (...)
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

1. მხარეთა არგუმენტაცია

35. მთავრობა ირწმუნება, რომ განმცხადებლის მიმართ მის პირად ცხოვრებაში ჩარევა არ განხორციელებულა. პირველ რიგში, იგი მიიჩნევს, რომ პოლიციის განყოფილებაში განმცხადებლისათვის ფოტოსურათის გადაღების ფაქტი სცდება მისი პირადი ცხოვრების ფარგლებს იმ მომეტებული ინტერესიდან გამომდინარე, რასაც საზოგადოებაში კოლხური კოშკის ძარცვა იწვევდა. რაც შეეხება გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციას, მთავრობა უურადღებას იგივე საზოგადოებრივინტერესზე ამახვილებს და ამტკიცებს, რომ უურნალისტს არ ჰქონია განზრახვა განმცხადებლისთვის შეურაცხეულვა მიეყენებინა, მისი ღირსება, პატივი და რეპუტაცია შეელახა. ხელისუფლება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაზეთის რედაქციამ განმცხადებელს საშუალება მისცა პასუხი გაეცა ქნ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მიერ გამოთქმულ იმ ფრაზებისა და ბრალდებებისათვის, რასაც სადაცო პუბლიკაცია შეიცავდა. თუმცა, განმცხადებელს ეროვნული სასამართლო ორგანოების წინაშე არ წარუდგენია ის საპასუხო წერილი, რომელმაც, მისი თქმით, გარკვეული ცენზურა განიცადა და სრული ვერსიით არ გამოქვეყნებულა.

ამასთან, მთავრობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო სასამართლოთა წინაშე წარმოედგინა უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ სადაცო ხელისაწყობის მას კანონიერად ეცუთვნოდა და კოლხური კოშკიდან მოპარული არ იყო. იმავდროულად, მთავრობა აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა შიდა სასამართლო ორგანოებს წარუდგინა დადგენილება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის არალევრის შესახებ, რის საფუძველზეც ეროვნულმა სასამართლოებმა გაზეთის რედაქციასა და უურნალისტს ქნ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ზოგიერთი ფრაზის უარყოფა დააკისრეს. მთავრობის აზრით, შიდა სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სრულად შეესაბამებოდა იმ განჩინებაში დადგენილ პრინციპებს, რომელიც ეკროპულმა სასამართლომ

მიიღო საქმეზე *Jersild v. Denmark* (1994 წლის 23 სექტემბრის განჩინება, სერია A № 298).

36. განმცხადებელი ეწინააღმდეგება მთავრობის პოზიციას და ამტკიცებს, რომ უურნალისტის მხრიდან განხორციელდა მის პირად ცხოვრებაში ჩარევა და რომ შიდა სასამართლო განაწყვეტილებებმა ვერ უზრუნველყველ განმცხადებელის მისი დარღვეული უფლებების აღდგენა. რაც შეეხება მთავრობის მოსაზრებას ამ საქმის საჯარო ხასიათთან დაკავშირებით, განმცხადებელი შეგვასენებს, რომ იგი არ გახლდათ საზოგადოებისათვის ცნობილი, საჯარო პირი და რომ მას არც კი მოეთხოვებოდა შემწყნარებლური ყოფილიყო ისეთი ჩარევისადმი, როგორიც მის მიმართ განხორციელდა.

განმცხადებელი ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არცერთ შიდა სასამართლო ორგანოს პასუხი არ გაუცია იმ პრეტენზიისათვის რომელიც ეხებოდა ეროვნულ ბეჭდვით ორგანოში მისი ფოტოსურათის გამოქვეყნებას დირსების შემლახავ ყალბ ინფორმაციასთან ერთად. განმცხადებელისათვის გასაგებია, რომ ნებადართულია ეჭვმიტანილის ან ძებნილი დამნაშავე პირის ფოტო სურათის გამოქვეყნება, მაგრამ იგი დასჯად ქმედებად მიიჩნევს მოკვლევის პროცესის დასრულებამდე პოლიციის განყოფილებაში გამოძახებული პირის ფოტო სურათის გამოქვეყნებას. ამდენად, სისხლის სამართლის საქმის არადგვრის, მისი შეწყვეტის შესახებ დადგენილების ან გამამართლებელი განახენის გამოტანამდე ამ სახის პუბლიკაციის გამოქვეყნებამ შესაძლოა ასეთ პიროვნებას მნიშვნელოვანი ზიანის მიაყენოს. განმცხადებლის აზრით, მის შემთხვევაში სწორედ ამგვარ ქმედებას ჰქონდა ადგილი. ამასთან ადსანიშნავია ისიც, რომ მანამდე იგი არ დაქვემდებარებია სისხლის სამართლებრივ დევნას და პოლიციის განყოფილებაში პირველად სწორედ მაშინ გამოცხადდა დასაკითხად, როდესაც ქ-მა მანანა არჩვადე გამსახურდიამ მის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა. თუმცადა, ზემოხსენებული დაკითხვის პროცესის დროს გადაღებული განმცხადებლის ფოტოსურათი, რომელიც უკანონოდ მოიპოვა გაზეთ, „ახალი თაობის“ „პაპარაცი“ უურნალისტმა, გამოქვეყნდა როგორც დამნაშავის ფოტო, შეურაცხმყოფელ ფრაზებთან ერთად. განმცხადებელს არ მიუცია თანხმობა ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებაზე, ვინაიდან აღნიშნული გამოძიების პროცესის დასრულებამდე საჭირო არ იყო.

2. სასამართლოს შეფასება

37. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი ასაჩივრებდა არა სახელმწიფოს მოქმედებას, არამედ – ხელისუფლების მხრიდან მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის ჯეროვანი დაცვის არარსებობას (ხესნებული საქმე *Von Hannover v. Germany*, № 59320/00, § 56, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2004-...). მაგრამ, თუკი მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია დაიცვას ინდივიდი სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული თვითნებური ჩარევისაგან, საქმარისი არ არის მხოლოდ ის, რომ ხელისუფლებამ თავი შეიკავოს ასეთი ჩარევისაგან, არამედ – ამ ნებატიურ ვალდებულებას შესაძლოა დაემატოს პოზიტიური ვალდებულება – ხელისუფლების მიერ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა. აღნიშნული კი გულისხმობს ისეთი ზომების მიღების აუცილებლობას, რომელიც მიმართული იქნება პირადი ცხოვრების დაცვისაკენ ინდივიდებს შორის ურთიერთობებშიც (იხ, *mutatis mutandis*, საქმე X and Y v. the Netherlands, 1985 წლის 26 მარტის განჩინება სერია A № 91, p. 11, § 23; *Stubbings and others v. United Kingdom* 1996 წლის 22 ოქტომბრის განჩინება, განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული 1996-IV, §

62 ; Stjerna v. Finland, 1994 წლის 25 ნოემბრის განჩინება, სერია A ნ° 299-B, p. 61, § 38), იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე ეხება ადამიანის დაცვის პრინციპების დარღვევას.

38. ზღვარი სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის, მე-8 მუხლთან მიმართებით ზუსტ განსაზღვრებას არ მოითხოვს; მიუხედავად ამისა, ამ მხრივ მოქმედი პრინციპები მაინც შედარებითია. კერძოდ, ორივე შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ შეფასების ზღვარის გამოყენებისას საჭიროა ყოველთვის გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესების სამართლიანი ბალანსირება. პირადი ცხოვრების ასეთი დაცვა პროპორციული უნდა იყოსკონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებასთან (*Minelli v. Switzerland* (გად.), ნ° 14991/02, 2005 წლის 14 ივნისი; *Schüssel v. Austria* (გად.), ნ° 42409/98, 2002 წლის 21 თებერვალი; *Von Hannover*, იხ. ზემოთ, §§ 57 და 58).

39. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ დროს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს კანონი ინდივიდს მისი უფლებების საკმარისი დაცვის შესაძლებლობას აძლევდა მედიის მხრიდან პირად ცხოვრებაში ჩარევასა და ინდივიდის მიმართ გამოთქმულ იმ საჯარო ბრალდებებთან დაკავშირებით, რომელიც რეალობას არ შეესაბამებოდა (იხ. ზემოთ წინამდებარე განჩინების პარაგრაფები: 32-33). ეს ფაქტი მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე სახელმწიფოს პოზიტიური გალდებულების საკითხი იმ შიდა სასამართლო ორგანოთა მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა დონეზე ისმება, რომლებმაც, განმცხადებლის თქმით, მას გაზეთ „ახალი თაობის“ უურნალისტის მიერ მის პირად ცხოვრებაში ჩარევისაგან დაცვის შესაძლებლობა არ მისცეს. ევროპული სასამართლო გალდებულია შეაფასოს, საკმარისად დაიცვეს თუ არა ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებელი მის პირად ცხოვრებაში განხორციელებული ჩარევისაგან, მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებისა და მე-10 მუხლით დაცული გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციისა და უურნალისტის გამოხატვის თავისუფლების დაბალანსების გათვალისწინებით (*Von Hannover*, იხ. ზემოთ, § 58).

40. ამ მხრივ, ევროპული სასამართლო პირველყოვლისა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლებას არ შეიძლება მიეცეს ფართო ინტერპრეტაცია, გინაიდან განმცხადებელი საზოგადოებისათვის უცნობი პირი იყო (იხ. *a contrario*, სხვებს შორის, *Schüssel*, ზემოთხენებული გადაწყვეტილება; *Von Hannover*, ზემოთხენებული გადაწყვეტილება, § 66; *mutatis mutandis*, *Krone Verlag GmbH & Co. KG v. Austria*, ნ° 34315/96, §§ 35-37, 2002 წლის 26 თებერვალი). ამდენად, დასაშვები კრიტიკის ზღვარი მის მიმართ არ შეიძლება ისეთივე ფართო იყოს, როგორც საზოგადოებისათვის ცნობილი პირების მიმართ გამოიყენება, რომლებიც ვალდებული არიან შეგნებულად აიტანონ საკუთარი ქცევებისა და მოქმედებებისადმი გამოთქმული მუდმივი კრიტიკა და ასეთი კრიტიკის მიმართ უდიდესი შემწყნარებლობა გამოიჩინონ (იხ. სხვებს შორის, *Lingens v. Austria*, 1986 წლის 8 ივლისის განჩინება, seria A ნ° 103, § 42).

41. შემდგომ, ადგილობრივი ბეჭვდითი ორგანოს საშუალებით გაზეთ „ახალი თაობის“ ფურცლებზე გავრცელებული პუბლიკაციის შინაარსის მხედველობაში მიღებით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული პუბლიკაციები უდავოდ ნეგატიურ შედეგებს წარმოშობდა განმცხადებლის პიროვნებასთან დაკავშირებით; უარყოფითად იმოქმედებდა ოჯახთან, მეგობრებთან ურთიერთობებსა და სხვა სოციალურ კავშირებზე, მათ შორის, კოლეგებისა და სტუდენტების მხრიდან წლების მანძილზე მის მიმართ არსებულ დამოკიდებულებებზეც. მართალია, ევროპული კონვენცია არ იცავს პატივის,

ღირსებისა და კარგი რეპუტაციის უფლებას (*Saltuk v. Turkey* (გად.), № 31135/96, 1999 წლის 24 აგვისტო), როგორც ასეთს, მიუხედავად ამისა, იგი არ უშვებს, რომ შეილახოს ინდივიდის ის „შინაგანი“ სამყარო, რომელიც მის პიროვნებას თავისუფლად განვითარებისა და ჩამოყალიბებისშესაძლებლობას უნდა აძლევდეს (*Deklerck v. Belgium*, 1980 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება, № 8307/78, გადაწყვეტილებები და მოხსენებები 21, p. 116) ან კიდევ, ზოანი მიადგეს იმ „გარეგან“ სამყაროს, რომელშიც ინდივიდს გარე ფაქტორების ჩარევის გარეშე უნდა შეეძლოს ურთიერთობათა დაამყარება მსგავს ინდივიდებთან, მთელ სამყაროსთან, მათ შორის პროფესიულ და კომერციულ სფეროებშიც (იხ., *mutatis mutandis, Niemietz v. Germany*, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 251-B, p. 33, § 29; *C. v. Belgium*, 1996 წლის 7 აგვისტოს განჩინება, კრებული 1996-III, § 25).

42. სასამართლო ასევეგვახსენებს, რომ მასმედიის საშუალებებით წარმოდგენილი რეპორტაჟები, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ გადმოსცემენ საუბრებს აქტუალური საკითხების შესახებ, წარმოადგენენ იმ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას, რომლის გარეშეც პრესა ვერ შეძლებდა საზოგადოებისათვის საჭირო „მოდარაჯე ძალის“ როლის შესარულებას (იხ., მაგალითად, *Observer and Guardian c. the United Kingdom*, 1991 წლის 26 ნოემბრის განჩინება, სერია A № 216, pp. 29-30, § 59). უურნალისტის დადანაშაულება, იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მესამე პირს დაეხმარა საუბრის პროცესში ნათქვამი გარკვეული განცხადებების გავრცელებაში, მნიშვნელოვნად შეაფერებს პრესის მონაწილეობას საზოგადოებისათვის საჭირობოროტო საკითხების შესახებ გამართულ დისკუსიებთან მიმართებით, რისი წარმოდგენაც განსაკუთრებით მძიმე შედეგების გარეშე შეუძლებელი გახდება (*Jersild v. Denmark*, 1994 წლის 23 სექტემბრის განჩინება, სერია A № 298, § 35). იმავდროულად, პრესამ არ შეიძლება დაარღვიოს „სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის“ მიზნით დადგენილი საზღვრები (*ibid.* § 31).

43. მთავრობის პოზიციის მიხედვით, პ. გამსახურდიას სახლის ძარცვა უველასათვის ცნობილი ფაქტი იყო და, შედეგად, ამ დიდი მწერლის ხელნაწერის გაყიდვა საზოგადოებაში გარკვეული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ევროპული სასამართლო სულაც არ უარყოფს, რომ გამსახურდიების ოჯახური რეზიდენციის გაქურდვასადა განსახილველი ხელნაწერის გაყიდვის ფაქტს მართლაც შეეძლო გამოეწვია მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი, იმის გათვალისწინებითაც, რომ მწერალი საქვეყნოდ აღიარებული პიროვნება, ხოლო პოსტ-კომუნისტური საქართველოს პირველი პრეზიდენტი სწორედ ამ ოჯახის წარმომადგენელი იყო. ყოველივე ზემოხსენებული, იქნება ეს საზოგადოების მომეტებული ინტერესი მწერლის პიროვნებისა თუ ისტორიული ფაქტის მიმართ, არ ამართლებს იმ გარემოებას, რომ უურნალისტი განმცხადებლის მიერ ხელნაწერის გაყიდვის საკითხს სერიოზულად და ობიექტურად არ მოეკიდა.

44. საფუძვლიანად განიხილავს რა განმცხადებლის მიმართ აღმრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების მართებულობას, მთავრობა აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა ვერ მოახერხა დაემტკიცებიდა მის მიერ სადაცო ხელნაწერის ფლობის კანონიერება. უფრო მეტიც, უურნალისტის განზრახვის არარსებობის გათვალისწინებით, შეელახა განმცხადებლის პატივი და ღირსება, ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რის საფუძველზეც გაზეთის რედაქციას მწერლის რძლის სიტყვების უარყოფა დაეკისრა, მთავრობის აზრით, სრულ შესაბამისობაში იყო კონვენციის მე-8 მუხლთან.

45. ევროპული სასამართლოს აზრით, ნათელი არ არის, თუ რაში მდგომარეობდა ზემოხსენებული დადგენილების, როგორც მტკიცებულების უკმარისობა, მაშინ, როდესაც პოლიციის განყოფილებაში განმცხადებლის თანდასწრებით მწერლის რძლის მიერ შეტანილი საჩივარის საფუძველზე აღმრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა განმცხადებლის „ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო“ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლი §1). ნებისმიერ შემთხვევაში, ეროვნულმა სასამართლოებმა აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენეს მათი გადაწყვეტილებების სამოტივაციით ნაწილის დასასაბუთებლად.

46. კერძოდ, პირველი ინსტანციის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ მიღებული დადგენილების გათვალისწინებით, მწერლის რძლის შემდეგმა სიტყვებმა: „ქურდობა, ძარცვა მისთვის არაფერია“ შელახეს განმცხადებლის პატივი და ლირსება. მაგრამ მიიჩნია რა, რომ გაზეთის რედაქციამ და უურნალისტმა მხოლოდ გაავრცელეს ეს სიტყვები, სასამართლომ მოპასუხეებს ამ ცილისმწამებლური გამონათქვამების უარყოფა დააკისრა და არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. პირველი ინსტანციის მოსამართლეთა აზრით, განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა ვერავითარი მტკიცებულება იმის შესახებ თუ რა სახისა და ოდენობის „მატერიალური ზიანი“ განიცადა მან „არაქონებრივი უფლების“ დარღვევის შედეგად.

ამას გარდა, განმცხადებლის მოთხოვნის მიუხედავად, განეხილათ გაზეთ „ახალი თაობის“ სხვადასხვა ნომრებში გამოქვეყნებული ყველა პუბლიკაცია, პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებმა ყურადღება გაამახვილეს მხოლოდ იმ ერთ ინტერვიუზე, რომელიცმწერლის რძლის ზემოთმოყვანილ გამონათქვამს შეიცავდა და თავიანთ განაწყვეტილებაში არ მოიხსენიეს ქნანა არჩვაძე-გამსახურდიას სხვა სიტყვები, ისეთები, როგორიცაა: „ხელნაწერებზე მონადირე“, „ქურდი“, „საშინელი ათეიისტი“, ისევე, როგორც გამონათქვამი: „ამ ხელნაწერების წყალობით თავს ირჩენდა“, მისი საქციელი „ყოველგვარ მორალურ ფარგლებს სცილდება“, „ასეთი პიროვნება ანათემას უნდა გადასცე“, „მან ერის წინაშე დანაშაული ჩაიდინა“, იგი „იგივე საქმიანობას ეწევა, რასაც მამამისი ეწეოდა“ [რომელიც არქივში მუშაობდა, თან ცნობილი ორგანიზაციის აგენტი იყო და ხელნაწერები სახლში მოჰკონდა], ან კიდევ „იგი ოჯახურ არქივებს იპარავს“. ყველა ეს ზემოთჩამოთვლილი მსჯელობები არ გამხდარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განხილვის საგანი.

47. სააპელაციო სასამართლოში განმცხადებელმა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა გაასაჩივრა და აღნიშნა, რომ უურნალისტმა სადაცო ინფორმაცია ყოველგვარი გადამოწმების გარეშე გამოაქვეყნა, არ დაელოდა რა პოლიციაში წარმოებული მოკვდევის პროცესის დასრულებას.

48. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სადაცო ინფორმაციები ინტერვიუს სახით გადმოცემულ მწერლის რძლის მოსაზრებას წარმოადგენდა, გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს არ შეიძლოთ არც გაზეთის რედაქციისა და არც უურნალისტის პასუხისმგებლობა გამოეწვიათ. დაადგინეს რა რედაქციისა და უურნალისტის მხრიდან მართსაწინააღმხევობო ქმედების არარსებობა, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა სხვა დამადასტურებელი არგუმენტაციის გარეშე მიიჩნიეს, რომ განმცხადებლის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ დაუსაბუთებელი იყო და რომ, თუკი ასეთი კომპენსაცია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე განისაზღვრებოდა, აღნიშნულის შედეგად პრესის თავისუფლება შეიზღუდებოდა. ამ მხრივ, განმცხადებელი თავად დაადანაშაულეს, რომ მან ვერ მოახერხა

დაემტკიცებინა სადავო პუბლიკაციების გამოქვეყნების შედეგად იმ პერიოდისათვის გაზეთის ტირაჟის მომატების ფაქტი, რასაც, საგარაუდო, გარკვეული მოგება უნდა მოეტანა ხსენებული გაზეთის რედაქციისათვის.

49. უზენაესმა სასამართლომ ახალი არგუმენტაციის დამატების გარეშე უცვლელად დატოვა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მსჯელობები.

50. ამრიგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტ არგუმენტად მიიჩნია დადგენილება სისხლის სამართლის საქმის არაღიანობის შესახებ იმისათვის, რათა ემსჯელა მწერლის რძლის მიერ გამოყენებულ გამოთქმაზე, როგორც განმცხადებლის პატივისა და ღირსების შემლახველ ფრაზაზე, მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა განმსაზღვრელი მნიშვნელობა მიანიჭეს პრესის თავისუფლების საკითხს, იმთავითვე გამორიცხეს რა გაზეთის რედაქციისა და უურნალისტის პასუხისმგებლობა, რომლებმაც მხოლოდ მიიღეს და გამოაქვეყნეს ეს ფრაზები

51. თუ დავუშვებთ, რომ გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გაზეთის რედაქციის გავრცელებული ცილისმწამებლური ფრაზის უარყოფა დაეკისრა, შესაძლოა, იგი განმცხადებელს მიყენებული ზიანთან მიმართებით ადეკვატური სამართლებრივი დაცვის საშუალებას სთავაზობდა, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ იმსჯელეს მწერლის რძლის მიერ გამოთქმულ სხვა ფრაზებთან დაკავშირებით, არც იმ საკითხს შეეხება, თუ როგორ მოახდინა უურნალისტმა მიღებული ინფორმაციის დამუშავება, გამოიჩნია თუ არა აღნიშნული საკითხისადმი შესაბამისი პროფესიული დამოკიდებულება გადაემოწმებინა მოპოვებული მასალა.

52. უფრო მეტიც, ევროპული სასამართლოს აზრით, შიდა სასამართლო ინსტანციებმა განმცხადებლის პირადი ცხოვრების დაცვის კუთხით განხილვისა და შეფასების მიღმა დატოვეს თვით უურნალისტის მიერ გამოთქმული ფრაზები, მით უფრო, რომ ეს ფრაზები აღწერდა განმცხადებლის, მწერლის რძლისა და თვით ამჟურნალისტის შეხვედრის ფაქტს, რომელსაც მედიის წარმომადგენელი ინკოგნიტოდ ესწრებოდა. აღნიშნულიკი, ევროპული სასამართლოს აზრით, განმცხადებლისათვის არანაკლებ შეურაცხმყოფელი იყო. რაც შეეხება გაზეთში დაბეჭდილ სტატიაში უურნალისტის მიერ გამოთქმულ ფრაზებს, ისინი შემდეგნაირად ქდერს: „[განმცხადებელს] არ შეემინდა პოლიციის და არ დაუბრუნა ხელნაწერი მფლობელს“; „რამდენიმე დღეა, რაც კოლხური კოშკიდან მოპარული ერთ-ერთი ხელნაწერი სავაჭრო გარიგების საგანი გახდა“; „ჩვენ კოლხური კოშკიდან მოპარული კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერის გაყიდვის მოწმენი გავხდით, (...) დაინტერესებული პირი – ბ-ნი დ. გურგენიძე აცხადებს, რომ იგი ხელნაწერის მფლობელი იყო“

53. აღნიშნული ფრაზებიდან გამომდინარე, ძნელია დაეთანხმო შიდა სასამართლოთა გადაწყვეტილებას მასზედ, რომ თავად უურნალისტმა მხოლოდ გაავრცელა (დაბეჭდა) მწერლის რძლის ქნ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მოსაზრებები. ევროპული სასამართლოს აზრით, ძნელია დაასკვნა ის, რომ უურნალისტმა ინფორმაციასაზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ზუსტ ფაქტებზე დაყრდნობით კეთილსინდისიერად გამოთქვა რა საკუთარი მოსაზრება და უურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვით მკითხველს მიაწოდა „უტყუარი და სანდო“ ინფორმაცია (*a contrario, Fressoz and Roire v. France [GC], n° 29183/95, გვ. 54 და 55, CEDH 1999-I*). აღნიშნულის საპირისპიროდ მტკიცდება, რომ მოცემულ შემთხვევაში უურნალისტმა თავად იმსჯელა განმცხადებლის ადამიანური ღირსების ნებატიურ შეფასებებთან დაკავშირებით (*a contrario, ზემოთხსენებული Jersild, გვ. 31*) და ის ინფორმაცია, რომელიც მან მწერლის რძლისაგან მოიპოვა გამოაქვეყნა ყოველგვარი გადამოწმების გარეშე (პრესისა და მედიის შესახებ კანონის 24-ე მუხლის გვ. 2)

არ დაელოდა რა განმცხადებლის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლებრივი დეკნის იმ შედეგებს, რომელიც პირველი პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე გახდა ცნობილი. ევროპული სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება პროფესიული გულმოძგინების არარსებობას, ვინაიდან, შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, ურნალისტი მოვალე იყო შეემოწმებინა მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა (პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტი). მით უფრო, თუ, მოცემულ შემთხვევაში, სადაც პუბლიკაციის გამოქვეყნების შედეგად საზოგადოებასა და მის უახლოეს გარემოცვას, როგორც სჩანს, უსაფუძვლოდ შეეცვალა აზრი განმცხადებლის პირველის მიმართ, მას ამის შემდეგ, როგორც სჩანს, სირცხვილის გრძნობა გაუჩნდა. ბ-ნ გურგენიძეს ვერ წარმოედგინა, რომ მხოლოდ ხელნაწერის გაყიდვის შესახებ ცნობის გამოაქვეყნებით მას რაიმე საფრთხე შეექმნებოდა. განმცხადებელს არც კი შეეძლო ევარაუდა, რომ ურნალისტი, რომელიც მასთან ინკოგნიტოდ (ფარულად) მივიდა, არ გაუმხილა რა მას საკუთარი ვინაობა, განმცხადებელს საქვეყნო კრიტიკის საგნად აქცევდა. ბ-ნ გურგენიძეს მედიის წარმომადგენელი მხოლოდ იმ ხელნაწერის ყიდვის მსურველი კერძო პირი ეგონა, რომლის კანონიერი ფლობელიც თავად იყო. შეხვედრის დროს მწერლის რძლის გამოჩენის შემდეგაც განმცხადებელმა ვერ გააცნობიერა, რომ ეს შეხვედრა წინასწარ იყო დაგეგმილი და რომ იგი ურნალისტ გ. ბალაძის შემდგომი პუბლიკაციების საგანი გახდებოდა.

54. თუმცა, შიდა სასამართლო ორგანოები შემოიფარგლნენ მხოლოდ მწერლის რძლის მიერ გამოთქმული რამდენიმე სიტყვის განხილვით და განმცხადებლის მოთხოვნის მიუხედავად მსჯელობის გარეშე დატოვეს პრესის თავისუფლების პრინციპიდანგამომდინარე შეფასებინათ საქმის სხვადასხვა ასპექტები. აღნიშნული კი არ შეიძლება შესაბამისობაში იყოს დაცვის იმ მოთხოვნებთან, რომელსაც კონვენციის მე-8 მუხლი ითვალისწინებს.

55. რაც შეეხება სადაც პუბლიკაციის ფარგლებში გამოქვეყნებულ განმცხადებლის ფოტოსურათს, ევროპულმა სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ფოტოსურათის გამოქვეყნება მოიცავდა პირადი ცხოვრების სფეროს (*Sciaccia v. Italy*, n° 50774/99, § 29, CEDH 2005-...). თუმცა, მართებულია შეფასდეს აღნიშნული ფოტო წარმოადგენდა თუარა განმცხადებლის პირად ცხოვრებაში ჩარევას, უკავშირდებოდა თუ არა იგი კერძო სფეროს თუ საჯარო წესრიგის საკითხებს და ზემოხსენებული ფოტო განსაზღვრული იყო შეზღუდული პირთა წრისათვის თუ ფართო საზოგადოების განხილვის საფრთხის წინაშე იდგა (*Peck v. the United Kingdom*, n° 44647/98, § 61, CEDH 2003-...; *Lupker and others v. the Netherlands*, n° 18395/91, 1992 წლის 7 დეკემბერით დათარიღებული კომისიის გადაწყვეტილება, გამოუქვეყნებელი; *riedl v. Austria*, 1995 წლის 31 იანვრის განჩინება, სერია A n° 305-B, კომისიის მოსაზრება, p. 21, §§ 49-52).

ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ თუკი გამოხატვის თავისუფლება ფოტოსურათების გამოქვეყნებაზეც ვრცელდება, აქაც საქმე ეხება იმ სფეროს, სადაც სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს (ზემოთხსენებული *Von Hannover*, § 59).

56. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის ფოტოსურათი მისი თანხმობის გარეშე ფართო საზოგადოების ხელში აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი თანხმობა აუცილებელიც იყო, განმცხადებლის ფოტოსურათის მოპოვება არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 (§5) მუხლით გათვალისწინებულ პოლიციის მოთხოვნებს შეესაბამებოდა. პოლიციის განყოფილებაში განმცხადებლისათვის გაზეო „ახალი თაობის“ იმ ფოტოგრაფის მიერ გადაღებული სურათი, რომელსაც იგი „პაპარაც“ უწოდებს,

გაზეთის ფურცლებზე უკვე შექმნალისტ გ. ბალაძის ერთ-ერთი სადაცო სტატის თანხლებით გამოჩნდა.

57. ევროპული სასამართლო უკვე შექმნალი ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებისა (ზემოთხსენებული *Von Hannover*, § 50) თუ გამოჩენილი, საქვეყნოდ აღიარებული პირების (ზემოთხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე *Schüssel*) ფოტოსურათის გამოქვეყნების საკითხს, რა დროსაც მან განიხილა იმ პოზიტიურ ვალდებულებათა დაცვა, რომელიც მოპასუხე სახელმწიფოს ამ თვალსაზრისით ეკისრება. ასეთ შემთხვევაში, პუბლიკაცია არ უნდა გასცდეს თავისი დანიშნულების საწყისებს ან სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის ფარგლებს. ევროპულმა სასამართლომ იგივე საკითხი განიხილა განსხვავებულ საქმეში, სადაც განმცხადებელი (ქალი) არ გახლდათ ის პირი, რომელიც საჯაროობის კონტექსტში მოქმედებდა, თუმცა, მის მიმართ საგამოძიებო მოქმედებები ხორციელდებოდა (*Sciaccia v. Italy*, n° 50774/99, § 28, CEDH 2005-...). ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ თუნდაც სისხლისსამართებრივი დევნის წარმოების ფაქტმა არ შეიძლება შეზღუდოს დაცვის ის განსხვავებულად ვრცელი ფარგლები, რითაც იგი როგორც „ჩვეულებრივი პიროვნება“ სარგებლობდა (*ibid.*).

58. მოცემულ შემთხვევაში, ზემოთმოყვანილი პტეცედენტისაგან განსხვავებით, განმცხადებელი არც საქვეყნოდ ცნობილი პირი იყო და მის მიმართ არც სისხლის სამართლებლივი დევნი წარმოებდა. ჩვენების მისაცემად პოლიციის განყოფილებაში მიყვანილმა იქ დაახლოებით ორი საათი დაჟყო მანამ სანამ აღნიშნული ადგილიდან არ გამოუშვეს. მისი თანდასწრებით მყოფმა მწერლის რძალმა, რომელიც პოლიციის განყოფილებაში სადაცო სტატიების ავტორ უკრნალისტთან ერთად იმყოფებოდა განმცხადებლის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა. აღნიშნული საჩივრის საფუძველზე შემდგომ მიღებულ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის არაღიარების შესახებ განმცხადებლის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

59. სასამართლო გვასხენებს, რომ პირადი ცხოვრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის დაბალანსების განმსაზღვრელი ელემენტი იმ წვლილში უნდა მდგომარეობდეს, რომელიც გამოქვეყნებულ ინფორმაციასა თუ ფოტოსურათს მოაქვს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე დებატებისათვის (ზემოთხსენებული *Von Hannover*, § 76; *Tammer v. Estonia*, n° 41205/98, § 68, CEDH 2001-I; *Jaime Campmany y Diez de Revenga and Juan Luis Lopez-Galiacho Perona v. Spain* (გად.), n° 54224/00, 2000 წლის 12 დეკემბრის; *Editions Plon v. France*, n° 58148/00, § 43, CEDH 2004-...). მოცემულ შემთხვევაში კი ფოტოსურათი, სადაც განმცხადებელი პირისპირ, სახით არის გადაღებული ქ-ნი გ. ბალაძის ერთ-ერთი სადაცო ინტერვიუს თანხლებით გამოქვეყნდა. ამ ფოტოსურათს მისი სახელი და გვარი იმდენად გარკვევით ჰქონდა მიწერილი, რომ ახლობლებს, კოლეგებსა და სტუდენტებს მისი ადვილად ამოცნობა არ გაუჭირდებოდათ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, არ შეიძლება იმ კონტექსტისათვის გვერდი ავლა, რა კონტექსტშიც ეს სურათი დაიბჭიდა – იმ ვრცელი ინტერვიუების ფარგლებში, სადაც განმცხადებლისათვის შეურაცხმყოფელი ფრაზები ფიგურირებდა. ყოველივე ეს კი მისთვის უსასრულოდ გამაღიზიანებელ კლიმატს ქმნიდა. ხოლო იმ ინტერვიუში, რომელიც სწორედ ფოტოსურათთან ერთად დაიბჭიდა იკითხებოდა, რომ განმცხადებელი „საშინელი ათეისტი“ იყო; რომ მისთვის „ქურდოდა, ძარცვა არაფერს ნიშნავდა“; რომ იგი „იგივე საქმიანობას ეწეოდა რასაც მამამისი“ [რომელიც არქივში მუშაობდა, თან ცნობილი ორგანიზაციის აგენტი იყო და ხელნაწერები სახლში მოჰქონდა]; რომ „ასეთი პიროვნება ანათემას უნდა გადასცე“; რომ „მან ერის წინაშე დანაშაული ჩაიდინა“ და რომ „იგი ოჯახურ არქივებს იპარავს“.

60. ევროპული სასამართლო ვერ შენიშნავს ვერც ერთ ელემენტს, ვერც ზემოთმოყვანილ სტატიაში, ვერც მხარეთა მიერ წარმოდგენილ მიმოხილვებში, რომელიც ახსნიდა საზოგადოებრივ ინტერესთან დაკავშირებულ იმ მიზეზებს, რისთვისაც გაზეთის რედაქციამ გადაწყვიტა სადაცო ფოტოსურათის გამოქვეყნება. არაფერი გამოავლენს იმას, რომ აღნიშნულს როგორც ასეთი, ინფორმაციული დირებულება ჰქონდა ან გონივრულად იქნა გამოყენებული (იხ., *a contrario, Sabou and Pircalab v. Rumania*, № 46572/99, §§ 39-41, 2004 წლის 28 სექტემბერი). პირიქით, აშკარა იყო რომ ფოტოსურათი მხოლოდ ინტერვიუში დასახელებული პიროვნების იმგვარად წარმოჩენას ემსახურებოდა, როგორადაც იგი ზემოთ არის დახასიათებული.

61. ამ პირობებში განმცხადებლის ფოტო სურათის გამოქვეყნება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც საზოგადოებაში საქმაო ინტერესის მქონე რაიმე დისკუსიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რა ინტენსივობის საზოგადოებრივ ინტერესსაც არ უნდა იწვევდეს დიდი მწერლის ოჯახურის რეზიდენციის გაქურდვის ფაქტი (იხ., *mutatis mutandis, Julio Bou Gibert and El Hogar Y La Moda J.A. v. Spain*, (გად.), № 14929/02, 2003 წლის 13 მაისი; *Prisma Press Society v. France* (გად.), № 66910/01, 2003 წლის 1 ივნისი; ზემოთხსენებული *Von Hannover*, § 76).

62. უფრო მეტიც, სასამართლო აღნიშნავს, რომ არც ერთმა შიდა სასამართლო ინსტანციამ არ მიიღო გადაწყვეტილება ფოტოსურათის გამოქვეყნების შესახებ განმცხადებლის მიერ დაყენებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, რაიმე ბალანსი არ დაცულა განმცხადებლის ინტერესისა – დაცული ყოფილიყო საკუთარი ფოტოსურათი საზოგადოებრივ ინტერესთან – გამოქვეყნებულიყო ხსენებული ფოტომასალა. ამ განსახილველ ინტერესთა შეფასება-დადგენის არარსებობაარ შეიძლება შესაბამისობაში იყოს კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან (იხ., *a contrario, Jaime Campmany y Diez de Revenga and Juan Luis Lopez-Galiacho Perona*, ზემოთხსენებული გადაწყვეტილება).

63. ერთად აღებული ყველა ზემოხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებით და შეფასების იმ ზღვარის მიუხედავად, რაც სახელმწიფოს ამ მხრივ გააჩნია ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაცო ინფორმაციისა და ფოტოსურათის გამოქვეყნებასთან მიმართებით საქართველოს ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ მოახერხეს კონფლიქტურ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენა. იმ მეოთოდა, რომლის გამოყენებითაც სასამართლო ორგანოებმა წინამდებარე საქმე განიხილეს განმცხადებლისათვის, ვერ უზრუნველყოფდა მისი პირადი ცხოვრების საქმარის და ეფექტიან დაცვას.

64. ამრიგად, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

II. პონვენციის მე-13 მუხლის საპარაუდო დარღვევა

65. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებათა დაცვის მიზნით იგი არ ფლობდა კონვენციის მე-13 მუხლის გათვალისწინებულ სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებას. ამ უკანასკნელი მუხლის მიხედვით:

„ყველას, ვისაც დაერდვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

66. მთავრობა ეყრდნობა რა წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობას მიიჩნევს, რომ განმცხადებელს მე-8 მუხლიდან გამომდინარე პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად ეროვნული ხელისუფლებისაგან გააჩნდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება. განმცხადებელი მთავრობის ამ არგუმენტს ეწინააღმდეგება.

67. კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით გამოტანილი დასკვნის მხედველობაში მიღებით, ევროპული სასამართლო მართებულად არ მიიჩნევს, კონვენციის მე-13 მუხლის კუთხით განსხვავებული საკითხების დასმას.

III. კონვენციის მე-41 მუხლის გამოყენება

68. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირდვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართლი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

ა) მატერიალური ზიანი

69. მატერიალურის ზიანის ანაზღაურების სახით განმცხადებელმა 3 000 (EUR) ევროს გადახდა მოითხოვა, გაზეთ „ახალითაობის“ ფურცლებზე რეაბილიტაციის მიზნით ახალი სტატიის გამოქვეყნების გამო. მის მიერ წარმოდგენილი საგაზეომარიფის შესაბამისად, ზემოხსენებულ ბეჭვით ორგანოში მიღებული პრაქტიკის მიხედვით, ერთი გვერდის მოცულობის პუბლიკაციის გამოქვეყნების საფასური 3 00 ევროს (EUR) უტოლდებოდა.

70. გვახსენებს რა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა ათი წლით განისაზღვრება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლი) მთავრობა აღნიშნავს, რომ განმცხადებლისათვის ნებადართულია მიმართოს სასამართლო აღმასრულებელს და მოითხოვის 2000 წლის 21 თებერვლის პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, რომლის ძალითაც გაზეთ „ახალ თაობას“ დაეკისრა ამავე გაზეთის საშუალებით განმცხადებლის მიმართ გამოთქმული მისი უფლებების შემლახველი ცნობების უარყოფა. მთავრობის თქმით, თუკი განმცხადებელი ამ კანონიერ საშუალებას არ გამოიყენებს, ვერ დაასაბუთებს იმ 3 000 (EUR)

ევროს მოთხოვნას, რაც მისი თქმით საკმარისია გაზეთის ათ გვერდზე მისი უდანაშაულოდ ცნობის შესახებ სტატიის გამოსაქვეყნებლად.

71. ევროპული სასამართლო იმთავითვე მოგვაგონებს, რომ 2000 წლის 21 თებერვლის პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან დაკავშირებული პრეტენზია დაუშვებლად იქნა გამოცხადებული (იხ. ზემოთ წინამდებარე განაჩენის მე-6 პარაგრაფი). კერძოდ, აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც გაზეთის რედაქციამ საკუთარი ნებით არ აღასრულა ზემოხსენებული გადაწყვეტილება, განმცხადებელს კანონით დადგენილი იძულებითი აღსრულების მოთხოვნით აღმასრულებლისათვის არ მიუმართავს. გამომდინარე აქედან, ევროპულმა სასამართლომ

დაასკვნა, რომ განმცხადებლის მიერ აღსრულების შესახებ მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში ხელისუფლება არ იყო ვალდებული და, შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, არც შეეძლო თავად ეწარმოებინა ხსენებული გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების პროცესი(Gurgenidze v. Georgia (დაშვებადობის შესახებ გადაწყვეტილება), n 71678/01, 2006 წლის 5 იანვარი). ევროპული სასამართლოს აზრით, თუკი 2000 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულება მომავალ შიც შესაძლებელია, როგორც ამას მთავრობა ამტკიცებს, იმ ვალდებულების

უმნიშვლელო ხასიათის გათვალისწინებით, რასაც ხსენებული გადაწყვეტილება მოპასუხე მხარეს აკისრებს, ამ სახით მისი აღსრულება ვერ აღმოფხვრის ევროპული სასამართლოს მიერ მოცემულ შემთხვევაში დადგენილი დარღვევით გამოწვეულ შედეგებს, ისე, რომ შეძლებისდაგვარად აღდგენილ იქნას ამ დარღვევამდე არსებული მდგომარეობა.

72. ნებისმიერ შემთხვევაში, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ უკავშირდება იმ სავარაუდო ხარჯებს, რომელსაც იგი გადაიხდიდა, თუკი გაზეთ „ახალი თაობის“ ფურცლებზე გამოაქვეყნებდა სტატიას მისი რეაბილიტაციის შესახებ. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საქმე არ ეხება იმ მატერიალურ დანაკარგს, რომელიც მას უშუალოდ ზემოხსენებულ უფლებათა დარღვევის დადგენის შედეგად მიაღება (Comingersoll v. Portugal [GC], n° 35382/97, § 29, CEDH 2000-IV), შედეგად, ევროპული სასამართლო არ აკმაყოფილებს განმცხადებლის მოთხოვნას მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

b) მორალური ზიანი

73. განმცხადებელი სადაცო პუბლიკაციების გამოქვეყნების შედეგად მიყენებულ მორალურ ზიანს 3 000 ევროდ (EUR), ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებით გამოწვეულ მორალურ ზიანს – 1 000 ევროდ (EUR), აფასებს.

74. მთავრობა კვლავ ეყრდნობა რა მის არგუმენტაციას განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევის არარსებობის შესახებ (იხ. წინამდებარე განჩინების 35-ე პარაგრაფი) მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

75. ევროპულისასამართლო თვლის, რომ იმ ზიანს, რომელიც განმცხადებლის პიროვნებას მიაღება და შიდა სასამართლო ორგანოთა მხრიდან საკმარისი დაცვის არარსებობას შეეძლო მის პირად და პროფესიულ ცხოვრებაში გარკვეული უხერხელობა გამოეწვია, ამასთან, უდიდესი სირცხვილის გრძნობა მას ხელს უშლიდა სხვებისათვის უშიშრად თვალი გაესწორებიდა. წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილი კონვენციის

დარღვევის დადგენა, რაც პირდაპირ კავშირშია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან არ არის საკმარისი დარღვეული უფლების აღსადგენად.

76. შედეგად, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის 41-ე მუხლის სესაბამისად დაკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ და მას მორალური ზიანის ანაზღაურების სააცვლოდ 4 000 ევრო (EUR) მიაკუთვნა.

B. გაწეული ხარჯები და დანახარჯები

77. გაწეული ხარჯებისა და დანახარჯებისათვის განმცხადებელმა 2 628 ევროს (EUR) გადახდა მოთხოვა, აქედან 2 500 ევრო (EUR) ადვოკატის პონორარისათვის ევროპული სასამართლოს წინაშე საქმის წარმოებასთან დაკავშირებით; 73 ევრო (EUR) რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფო ბაჟს შიდა სასამართლოთა წინაშე მისი საქმის განხილვისთვის; და 55 ევრო (EUR) ევროპული სასამართლოსათვის კორესპოდენციის გაგზავნის ხარჯები (საფოსტო გზავნილები, ფაქსით გაგზავნის საფასური)

78. ადვოკატის პონორართან დაკავშირებით, განმცხადებელმა წარმოადგინა 2005 წლის 28 აპრილს ფორმულირებული მოთხოვნა სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც განაცხადის დაშვებადობის საკითხის გადაწყვეტამდე განხორციელდა (იხ. ზემოთ წინამდებარე განჩინების მე-6 პარაგრაფი). მაშინ განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოს 2003 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებული ის კონტრაქტი წარუდგინა, რომლის საფუძველზეც განმცხადებელი ვალდებული იყო ადვოკატ ბ-ნი კაპაბადისათვის, რომელიც მას ევროპული სასამართლოში წარმოადგენდა ანაზღაურების სახით 2 500 ევრო (EUR) გადაეხადა. მან ევროპულ სასამართლოს მიაწოდა ამ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

79. დანარჩენი მოთხოვნის დასასაბუთებლად განმცხადებელმა წარმოადგინა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ქვითარი, რაც მის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ფაქტს ადასტურებდა. ევროპულ სასამართლოს ასევე მიეწოდა ის სხვადასხვა საფოსტო ქვითრები, რომლებიც ამტკიცებდა რომ სასამართლოს განმცხადებელმა შესაბამისი კორესპოდენცია გაუგზავნა. აღნიშნული კომუნიკაციისათვის დახარჯული, ქვითრებში გამოსახული თანხა, სულ 43 ევროს (EUR) შეადგენდა.

80. მთავრობა შენიშნავს, რომ სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ იმ მოთხოვნის ფარგლებში, რომელიც განმცხადებელმა გადაცხადის დაშვებადობის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ წარმოადგინა, არ მოიპოვებოდა წარმომადგენელისათვის პონორარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ნებისმიერ შემთხვევაში 2 500 ევრო (EUR) გადაჭარბებულ თანხას წარმოადგენს, ვინაიდან საქართველოში მოქმედი ადვოკატები ევროპულ სასამართლოში წრმომადგებლობის უზრუნველსაყოფად ანაზღაურების სახით დაახლოებით 200-დან 400 ევრომდე (EUR) იღებენ.

81. ევროპული სასამართლო გვახსენებს, რომ იგი სამართლიანი დაკმაყოფილების სახით განმცხადებელს თანხას არ მიაკუთვნებს, თუკი ციფრებში გამოსახული და შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული პრეტენზიები, რეგლამენტის 60-ე (§1) მუხლის შესაბამისად, მითითებულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ განმცხადებელმა მხარემ ასეთ პრეტენზიებთან დაკავშირებით სამართლწარმოების საწყის ეტაპზე არ მიუთითა (*Fadil Yilmaz v. Turkey*, n° 28171/02, § 26, 2005 წლის 21 ივლისი).

82. მოცემულ შემთხვევაში განაცხადის დაშვებადობოს შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სასამართლოს მიერ მითითებულ ვადაში განმცხადებელმა წარმოადგინა მოთხოვნა იმ პონორარის ანაზღაურების შესახებ რომელიც მან ევროპულ სასამართლოში წინამდებარე განაცხადთან დაკავშირებით წარმომადგენლობის უფრუნველყოფის მიზნით ადვოკატ ბ-ნ კაკაბაძეს გადაუხადა. იმისათვის, რომ დაესაბუთებინა ეს მოთხოვნა განმცხადებელმა მხარემ სასამართლოს შესაბამისი დოკუმენტაცია განაცხადის დაშვებადობის საკითხის გადაწყვეტამდე მიაწოდა.

იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს დოკუმენტები თანმიმდევრულად იმ დროისათვის არ გაეგზავნა სასამართლოსათვის, რა პერიოდშიც წარდგენილ იქნა თვით მოთხოვნა განმცხადებლის ინტერესების დამცველი ადვოკატისათვის პონორარის გადახდასთან დაკავშირებით, სასამართლო წარმომადგენლის მიერ შესრულებული სამუშაოს მხედველობაშიმიღებით მაინც დააკმაყოფილებდა განმცხადებლის ზემოხსენებულ პრეტენზიას. კერძოდ, ბ-ნი კაკაბაძე განმცხადებელს ევროპულ სასამართლოში მას შემდეგ წარმოადგენდა, რაც შესაბამისი კომუნიკაცია მოპასუხე სახელმწიფომ მიიღო. აღნიშნული პერიოდი კი მოიცავდა როგორც საქმის პომზადების პროცესს, ისე იმ ოთხი მიმოხილვისა და კომენტარების შემუშავებას, რაც განმცხადებლის ინტერესების დამცველმა სტრასბურგის სასამართლოს წარუდგინა. არ ეხება რა პონორარების ოდენობას შორის არსებულ ბარიერსა და ამ მხრივ გამოყენებულ შიდა პრაქტიკას სასამართლო (იხ., მაგალითად, *Asanidze v. Georgia* [GC], n° 71503/01, § 206, CEDH 2004-...), კონვენციის 41-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით სამართლიანი დაკმაყოფილების სახით განმცხადებელს ბ-ნი კაკაბაძის მიერ წარმომადგენლობის განხორციელებისათვის 2 000 ევროს (EUR) აკუთვნებს.

83. რაც შეეხება სხვა დანარჩენ მოთხოვნებს სასამართლო იშველიებს უკვე გამოყენებულ პრაქტიკას და აღნიშნავს, რომ მას მხოლოდ იმ ხარჯებისა და ისეთი ოდენობით ანაზღაურება შეუძლია, რომელიც აშკარად და რეალურად კაგშირში იქნება კონვენციის დარღვევასთან და მიმართული იქნება ასეთი დარღვევის ფაქტის პრეტენციისა და გამოსწორებისაკენ (იხ., მაგალითად, *Donadze v. Georgia*, n° 74644/01, § 48, 2006 წლის 7 მაისი). ამას გარდა სასამართლოს რეგლამენტის მე-60 (§2) მუხლი ითვალისწინებს, რომ კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი უკელა პრეტენზია ციფრებში უნდა იქნა გამოსახული, დაყოფილი გარკვეული ოდენობის მიხედვით და დასაბუთუბული შესაბამისი დოკუმენტაციით. წინადმდეგ შემთხვევაში კი სასამართლო სრულად ან ნაწილობრივ მაინც უარყოფს წარდგენილ მოთხოვნას სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ (*Svipsta v. Lithuania*, n° 66820/01, § 170, CEDH 2006-... (ამონარიდი)).

84. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ მტკიცებულების სახით წარდგენილი დოკუმენტაცია რეალურად მხოლოდ 43 ევროს დანახარჯს ასაბუთებს, ეს თანხა კი სასამართლოსათვის შესაბამისი კორესპონდენციის საფოსტო გზავნილების საშუალებით მიწოდებას უკავშირდება (ზემოთმოყვანილი პარაგრაფები 77 და 79); რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის სახით განმცხადებლის მიერ გადახდილ 73 ევროს, სასამართლო აღნიშნავს, რომ

ეს თანხა შეესაბამება მითითებულ დოკუმენტს (იხ. ზემოთ პარაგრაფი 24) და დადგენილი დარღვევის ფაქტს აშკარად უკავშირდება (*Schouten and Meldrum v. the Netherlands*, 1994 წლის 9 დეკემბრის განჩინება, სერია A № 304, § 78). შედეგად, სასამართლომ განმცხადებლის მოთხოვნის ეს ნაწილი და სამართლიანი დაკმაყოფილების სახით მას 116 ევრო მიაკუთვნა.

85. ამრიგად, ევროპულლება სასამართლომ განმცხადებელს გაწეული ხარჯებისა და დანახარჯებისათვის სამართლიანი დაკმაყოფილების სახით საერთო თანხა – 2 116 ევრო მიაკუთვნა (ზემოაღნიშნული პარაგრაფები 82 და 84).

C. საურავი

86. სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა დადგინდეს საურავი ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე ეპროცედული სასამართლო
ირთხმად ადგენს, რომ:

1. ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას;
2. კონვენციის მე-13 მუხლი ცალკე განხილვას არ მოითხოვს;
3. სასამართლო ასევე ადგენს, რომ:
 - a) მოპასუხე სახელმწიფომ 3 თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც წინამდებარე გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 44-ე მუხლის მე-2პუნქტის შესაბამისად გახდება საბოლოო, გადახდის დღეს დადგენილი კურსის შესაბამისად, განმცხადებელს ეროვნულ ვალუტაში გადაუხადოს:
 - i. 4.000 ევრო (ოთხი ათასი ევრო) მიუენებული მორალური ზიანისათვის;
 - ii. 2.116 ევრო (ორი ათას ასთექვსმეტი ევრო) გაწეული ხარჯებისა და დანახარჯებისათვის;
 - iii. ზემოთჩამოთვლილ ეველა თანხას დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რაც შეიძლება გადასახდები გახდეს.

b) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის გადახდამდე, აღნიშნულ თანხას, გადაუხდელობის პერიოდში, დაერიცხება პროცენტი, რომელიც თანაბარი იქნება ევროპის ცენტრალური ბანკის მინიმალურ სასესხო განაკვეთისა, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

4. უარყოფს სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ ყველა სხვა მოთხოვნას.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე და 2006 წლის 27 ივლისს გაცხადებულია წერილობით, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლის შესაბამისად.

ს. დოლე
რეგისტრატორი

ქ.-ქ. კოსტა

წინამდებარე განჩინებას კონვენციის 45-ე (§2) და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე (§2) მუხლის შესაბამისად თან ერთვის ბ-ნ კოსტას ნაწილობრივ თანმხვედრი აზრი.

ქ.-ქ. ქ.
ს.კ.

მოსამართლე ბ-ნ. ქ.-კ. კოსტას ნაწილობრივ თანმხედრი აზრი

დიდი ყოფმანის შემდეგ, მაინც ხმა მივეცი გადაწყვეტილებას საქართველოს მიერ მე-8 მუხლის დარღვევის დადგენის ფაქტის სასარგებლოდ, ალბათ სწორედ იგივე მიზეზით, რა მიზეზითაც ჩემი კოლეგები ორჭოფობდნენ.

აქვე მოგახსენებთ ჩემი ყოფმანის მიზეზებსაც.

ეს საქმე თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ერთდროულად ორიგინალური, ბუნდოვანი, სიბრალურის აღმძვრელია და კვლავ აყენებს პირადი ცხოვრების დაცვისა და პრესის თავისუფლების წინააღმდეგობის საკითხს. განმცხადებელს ქალბატონმა მისი ოჯახისათვის ღირებული ხელნაწერის მოპარვა დააბრალა. უკრნალისტმა, რომელიც ზუსტად იმ დროს ესწრებოდა ამ ორ პირს შორის დისკუსიას – რამაც გარკვეულწილად განმცხადებლი ხაფანგში გააბა – გაავრცელა ეს ბრალდებები, მისი გაზეთის რედაქციამ გამოაქვეყნა როდორც ბრალმდებლის ინტერვიუ, ისე ბრალდებულის ფოტოსურათი.

იმთავითვე ვეთანხმები წინამდებარე განაჩენს ფოტოსურათის გამოქვეყნების ნაწილში: აღნიშნული მართლაც ხელყოფს გამოსახულებასთან დაკავშირებულ უფლებას, რომელიც მე-8 მუხლით დაცული უფლებების შემადგენელი ნაწილია (კერძოდ იხ. არაერთგვაროვნად ცნობილი საქმეები – *Von Hannover v. Germany*, n° 59320/00, CEDH 2004-VI, და *Sciacca v. Italy*, n° 50774/99, CEDH 2005-...); გამოქვეყნებულმა ფოტოსურათმა განმცხადებელს სირცხვილის გრძნობა აღუძრა, ვინაიდან, იგი მკითხველისა და ფართო საზოგადოების განსჯის საგანი გახდა. აღნიშნული კი რაიმე საჭიროებას არ წარმოადგენდა ეპროპული სასამართლო პრაქტიკის კუთხითაც.

მაგრამ ძალიან დიდი ეჭვი გამიჩნდა თავად სტატიასთან დაკავშირებით გამომდინარე პრესის მნიშვნელობიდან და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სავარაუდო მოპარული ხელნაწერი, როგორც ჩანს, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ეპუთგნოდა. ეჭვს იწვევს ასევე ის გარემოებაც, რომ განმცხადებელი ოდნავ თამაშობდა მსხვერპლის როლს, უარყოფდა რა ან აპროტესტებდა მისი უფლების გამოყენების შესაძლებლობას თუ ფარგლებს ჰასუხი გაეცა ასეთი ცილისწამებისათვის.

მოკლედ, თუკი ხმის მიცემის დროს განასხვავებდნენ მე-8 მუხლიდან გამომდინარე ორ ქვე-პრეტენზიას, მე დაგამაყოფილები პირგელს და დიდი ალბათობით უარვყოფდი მეორე ქვე-პრეტენზიას.

მაგრამ ვინაიდან წინამდებარე განჩინების ფარგლებში ეს ორი ასპექტი ერთი მუხლისმთლიან დისპოზიციაში განიხილება (რაც ამ განჩინების ხარვეზს არ წარმოადგენს), მე უფრო გადავიხარე დარღვევის დადგენის ფაქტისაკენ, რადგანაც ამ გადაწყვეტილების ორმაგი ლოგიკა ნაწილობრივ ხმის მიცემის შესაძლებლობას მიზდუდავს.

იგივე მიზეზით სადაფოდ მივიჩნევ წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტს, ვინაიდან, ეს დებულება განმცხადებელს მორალური ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ გადაჭარბებულ თანხას აკუთვნებს. აღნიშნული მოსაზრება უყრდნობა იმ სამართებრივ შედეგებს,

რომელზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ – განმცხადებლის მოქმედებას, რომელიც არ იყო საკმაოდ მკაფიო და რეალურად მიუენებულ ზიანს, რომელიც მას სინამდვილეში მიადგა.

სწორედ ამ მიზეზთა გამო წინამდებარე განჩინება მაგმაყოფილებს ... მხოლოდ ნაწილობრივ.